



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 207

6 მაისი
“ --- ” ----- 2022 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი №003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი №03/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.003.356, №01.10.07.003.074, №01.10.07.003.359, №01.10.07.003.372, №01.10.07.003.058, №01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 აპრილის №22.603.674 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი №003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი №03/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.003.356, №01.10.07.003.074, №01.10.07.003.359, №01.10.07.003.372, №01.10.07.003.058, №01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის №1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mts.gov.ge რეგისტრირებული №01201411885-67 (№01202181806-67; №01202743302-67; №0120335738-67; №0121062117-67; №01211533211-67; №01212242384-67; №01212802413-67; №0121329505-67; №012203014-67; №01220961936-67; №01221043281-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.603.674
28 / აპრილი / 2022 წ.

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი N03/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.07.003.356, 01.10.07.003.074, 01.10.07.003.359, 01.10.07.003.372, 01.10.07.003.058, 01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწოდების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 მაისის N01201411885-67 (N01202181806-67; N01202743302-67; N0120335738-67; N0121062117-67; N01211533211-67; N01212242384-67; N01212802413-67; N0121329505-67; N012203014-67; N01220961936-67; N01221043281-67) განცხადებით მიმართა თამთა ოტიაშვილმა (პ/ნ 08001003366) და მოითხოვა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი N03/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.07.003.356, N01.10.07.003.074, N01.10.07.003.359, N01.10.07.003.372, N01.10.07.003.058, N01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სოფელ ზურგოვანში, ასი ათასი მოწამის ქუჩისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.07.003.074, 01.10.07.004.010, 01.10.07.003.387, 01.10.07.001.975, 01.10.07.003.552, 01.10.06.001.257, 01.10.06.001.224, 01.10.06.001.244, 01.10.06.001.246, 01.10.06.001.218, 01.10.06.001.219, 01.10.07.003.804, 01.10.07.003.801, 01.10.07.003.784, 01.10.07.003.982); ტერიტორიის ჯამური ფართობი 325 241 კვ.მ.

წარმოდგენილი კორექტირება ეხება სექტორ N1, N2 და N12 (საკადასტრო კოდები: NN01.10.06.001.257, 01.10.06.001.224, 01.10.06.001.244, 01.10.06.001.246, 01.10.06.001.218, 01.10.06.001.219, 01.10.07.003.804, 01.10.07.003.801, 01.10.07.003.784); ფართობი: 34 768 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის საცხოვრებელ რაიონში, (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვეთი N03/006), არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.10.07.003.356, 01.10.07.003.074, 01.10.07.003.359, 01.10.07.003.372, 01.10.07.003.058, 01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების)



განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა დაკორექტირებულია რამდენჯერმე, ბოლო კორექტირება განხორციელებულია „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების ჩრდილოეთით, დემეტრე თავდადებულის ქუჩასა და მუხათგვერდის სასაფლაოს გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N231 განკარგულებით.

დამტკიცებული პროექტის თანახმად, N1, N2 და N12 სექტორებზე დაგეგმილი იყო მრავალფუნქციური და მრავალბინიანი შენობა-ნაგებობების განთავსება.

N1 - სექტორი (ნაკვეთი N1) - საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) - 15 242 კვ.მ

მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 7 621 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 3,0 - 45 726 კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე - 33 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 1 524,2 კვ.მ

N2 - სექტორი (ნაკვეთი N2) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 16 748 კვ.მ

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 8 374 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 2,5 - 41 870 კვ.მ. მაქსიმალური

სიმაღლე - 50 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 1 674,8 კვ.მ

N12 - სექტორი (ნაკვეთი N17, 18) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 2 778 კვ.მ

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 1 389 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 2,8 - 7 778,4 კვ.მ. მაქსიმალური

სიმაღლე - 30 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 277,8 კვ.მ

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირებით N1 - სექტორს (ნაკვეთი N1) - (სსზ-1) გამოეყო 1 781 კვ.მ. ნაკვეთი N19, რომელსაც დაუდგინდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და 33 მ სიმაღლის მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ნაცვლად განთავსდება 9-10 სართულიანი 30 მ სიმაღლის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და 30 კვ.მ N18 ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სს „თელასის“ ელ. გამანაწილებელი.

N2-სექტორს (ნაკვეთი N2) - (სზ-6) გამოეყო 1 860 კვ.მ. N13 სექტორი (ნაკვეთი N20), სადაც

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად განთავსდება 2-3 სართულის, 12 მეტრი სიმაღლის ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო საცხოვრებელ სახლებში და ცალკე მდგომი, სამეზობლო თმენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

N1 - სექტორი (ნაკვეთი N1) - საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 1 (სზ-1) - 13 431 კვ.მ

მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 6 715,5 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 3,0 - 40 293 კვ.მ.
მაქსიმალური

სიმაღლე - 33 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 1 343,1 კვ.მ

N12 - სექტორი (ნაკვეთი N16, 17) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 2 778 კვ.მ

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 1 389 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 2,8 - 7 778,4 კვ.მ.
მაქსიმალური

სიმაღლე - 30 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 277,8 კვ.მ

N12 - სექტორი (ნაკვეთი N19) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 1 781 კვ.მ

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 900 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 2,8 - 5 066 კვ.მ მაქსიმალური

სიმაღლე - 32,5 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,3 - 463,7 კვ.მ. 9-10 სართული

N12 - სექტორი (ნაკვეთი N18) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

30 კვ.მ. სს თელასის ელ. გამანაწილებელი.

N2 - სექტორი (ნაკვეთი N2) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 14 888 კვ.მ

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობები

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 7 444 კვ.მ

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2 = 2,5 - 37 220 კვ.მ

მაქსიმალური სიმაღლე - 30 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3 = 0,1 - 1 488,8 კვ.მ

N13 - სექტორი (ნაკვეთი N20) - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) - 1 860 კვ.მ

ინდივიდუალური სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის სახელოსნო საცხოვრებელ სახლებში და ცალკე მდგომი, სამეზობლო თმენისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1 = 0,5 - 930 კვ.მ

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: $k-2 = 2,0 - 3\ 400$ კვ.მ. მაქსიმალური სიმაღლე - 12 მეტრი

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: $k-3 = 0,1 - 167,4$ კვ.მ 2-3 სართული

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2022 წლის 14 აპრილის N01221041119 წერილის შესაბამისად, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღომის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი N03/006) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.07.003.356, 01.10.07.003.074, 01.10.07.003.359, 01.10.07.003.372, 01.10.07.003.058, 01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N01201411885-67 (N01202181806-67; N01202743302-67; N0120335738-67; N0121062117-67; N01211533211-67; N01212242384-67; N01212802413-67; N0121329505-67; N012203014-67; N01220961936-67; N01221043281-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი საცხოვრებელ რაიონში (ნაკვეთი N003/001), დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი N03/006), არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.10.07.003.356, 01.10.07.003.074, 01.10.07.003.359, 01.10.07.003.372, 01.10.07.003.058, 01.10.07.003.344) საცხოვრებელი უბნის (საუნივერსიტეტო დასახლების) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 ივლისის N1360523 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01221041119

თარიღი: 14/04/2022

პინი: 7912

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2022 წლის 6 აპრილის N 01220961936-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასა და მუხათგვერდის სასაფლაოს გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.06.001.244, 01.10.06.001.224 და სხვა.) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:


განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები და შეთანხმების წერილები (16-01213202756, 16/11/2021; 16-01220981415, 08/04/2022).

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი










საქართველო

შეთანხმებული გრზ




[illegible]







1. 姓名: 王明 2. 性别: 男 3. 年龄: 25 4. 职业: 教师 5. 单位: 某某中学		6. 住址: 某某路某某号 7. 电话: 某某某某		8. 身份证号: 某某某某 9. 学历: 本科 10. 学位: 学士	
--	--	------------------------------	--	--	--



საქსტეკის გზის



შეთანხმებული გრგ

[illegible]